ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6393737

ნომერი: AR1957947

თარიღი : 29.03.2023

გაცემის თარიღი : 13.04.2023

გაცნობის თარიღი : 01.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარალეთი , ნაკვეთი 10/015;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 29 მარტს AR1957947 განცხადებით მომართა მოქალაქე თენგიზი ესიავამ და მოითხოვა 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის

18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N : 01.11.03.010.203; (: 14895კვ.მ) მიწის ნაკვეთზე საავადმყოფოს მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 08/11/2022 წლის AR1932935 განცხადებით მომართა მოქალაქე თენგიზი ესიავამ და მოითხოვა სამსახურის 18/08/2022 წლის N6085301 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაიცა ს/კ N 01.11.03.010.203 – 14895 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელის ფართიც და კონფიგურაციაც 24/10/2022 წ. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაკორექტირდა ს/კ N 01.11.03.010.204 – 4155 კვ.მ და 01.11.03.010.205 – 10 740კვ.მ-ად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სამსახურის 2022 წლის 16 დეკემბრის № 6253548 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:
საკადასტრო კოდად დაფიქსირდა N 01.11.03.010.204; მიწის ნაკვეთის ფართად 4 155 კვ.მ; განაშენიანების რეგულირების ხაზები/უკანა ეზოს და ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრების უცვლელად.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება ,შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია , საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი.
საკადასტრო კოდად დაფიქსირდა N 01.11.03.010.209; ფართობი 6717კვ.მ,
განაშენიანების რეგულირების ხაზები/უკანა ეზოს და ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრების ცვლილებით .
წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით,დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა და განახლებული საკადასტრო გეგმის და მისი მონაცემების დაფიქსირება.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი N 01.11.03.010.209; ფართობი 6717 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N 882023263259 რეგისტრაციის თარიღი : 29/03/2023 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N 882023263259 რეგისტრაციის თარიღი 29/03/2023წ.);
2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2022 წლის 18 აგვისტოს N 6085301 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3.უკანა ეზო განესაზღვროს ახალი დანართის შესაბამისად (იხ დანართი)
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.